მოწვევა ზესტაფონისათვის

ერთად ვიფიქროთ მომავლის საქართველოზე...

2013 წლის 13 აგვისტოს, 13:00 საათზე,
იმედია, შენ იქნები ზესტაფონში, თეატრში და თეატრალურ მოედანზე

- ჩვენ ვიქნებით შენთან ერთად!
- ჩვენ ერთად გამოვგლეჯთ ფერომაფიას ზესტაფონს!
- ჩვენ ერთად წავართმევთ პოლიტიკურ კრიმინალურ კლანს ზესტაფონს!
- ჩვენ ერთად გადავარჩენთ ზესტაფონს!
- ჩვენ ერთად დავიბრუნებთ ზესტაფონს!

მოწვევის განსაკუთრებილი ფორმა განაპირობა ორი ათეილი წლის მანძილზე ზესტაფონში შექმნილმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ, რომლის დასტურია ამ გაზეთში მოყვანილი არაერთი ფაქტი, ციფრი, მოვლენა.

ეს არის დაუჯერებელი სინამდვილე საქართველოს ეკონომიკის ხერხემალის: ზესტაფონი - ჭიათურა - ტყიბილის ბარბაროსული მითვისებისა და განადგურების შესახებ.

თუ გაქვს გულ, თუ გიდუღს სისხლი, შენ მიიღებ ამ მოწვევას. ჩვენ კი, შენი ერთგული მეგობრები შენს გვერდით ვიქნებით.

ეს მოსაწვევი ბარათი შევა ყველა ზესტაფონელის ოჯახში, მიიღებენ ჭიათურასა და ტყიბულში... მას მიიღებს პრემიერ მინისტრი, ყველა მინისტრი, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი, ყველა დეპუტატი, ყველა მამულიშვილი, ვისაც გული შესტკივა ზესტაფონში გამეფებულ უსამართლობაზე. ვნახოთ, ვინ ჩამოვა.

13 აგვისტოს, 13 საათზე, ჩვენ შენთან ერთად ვქმნით კომიტეტს და ვიწყებთ ბრძოლას ზესტაფონისათვის!

პერსონალური მოსაწვევი ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ჩვენ, ზესტაფონელმა პატრიოტებმა, მივიღეთ გადაწყვეტილება - ერთადერთი პერსონალური მოწვევა ამ გაზეთის საშუალებით გავუგზავნოთ კაცს, რომელმაც თითქმის ერთი წლის წინ „ნაციონალთა“ პოლიტიკური სამარის გათხრის ბარი დაჰკრა, ქართველთ გულში იმედის ნაპერწკალი გაჰკრა და სამართლიანობის დამკვიდრების იმედი სადღაც შორს, მაგრამ გამოაჩინა.

ბატონო ბიძინა, ეს გაზეთიც და ჩვენი შეკრებაც არის თქვენდამი კეთილი დამო–კიდებულებისა და იმედის გამოხატულება, თორემ სამადაშვილისა და მისი მაფიოზური კლანის წინააღმდეგ ბრძოლით პარლამენტსა და თანამდებობებზე მოხვედრილნი – კარგად შეერწყნენ სააკაშვილის ფერომაფიას, მისი მფარველნი გახდნენ... აღარ ახსოვთ არც ზესტაფონი, არც საქართველო, არც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხი...

რად გვინდა ან პრეზიდენტი, ან პარლამენტი, ან მთავრობა, ან სასამართლო, ან არასამთავრობო სექტორი, რად გვინდა პარტიები, თუ უზნეო ფულიანთა თავნებობას წერტილი არ დაესმება, თუ ხალხი ელემენტარულ პასუხს ვერ მიიღებს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გაგზავნილ უამრავ წერილზე.

ჩვენ, ზესტაფონლები, არ ვითხოვთ მაინცდამაინც ჩვენს სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტას. არ ვითხოვთ ამ დავაში გამარჯვებაში დახმარებას, არ გეუბნებით, რომ მართალნი ვართ; პასუხის ღირსნი ხომ ვართ?! სამართლიანობის დადგენის ღირსნი ხომ ვართ?! თორემ, როგორც თქვენი პრეზიდენტობის კანდიდატმა ზესტაფონში სტუმრობის შემდეგ თქვა, ვართ ასე თურქ-სელჩუკების შემონასევვით: დაქცეულნი და დავსებულნი!!!

ჩვენ, ზესტაფონლებს, აქაური მოწამლული ჰაერის, წყლისა და მიწის გარდა სხვა არა გაგვაჩნია რა. ჩვენი სიმდიდრისა და ჩვენივ ნელი სიკვდილის ხარჯზე მდიდრდებიან ოფშორებში, ნიდერლანდებში, უკრაინაში, რუსეთში, ამერიკაში საბანკო ანგარიშების მქონე უცხოელები და ქართული გვარის მქონე არაკაცები. **ყველას ვწერთ, ყველას ვაწუხებთ, პასუხად - სამარისებული სიჩუმე**. ვიცით, ორი დიდი თანამდებობის პირი სიმართლისათვის იბრძვის თავგამოდებით, მაგრამ ხმამაღლა ვერ ვიტყვით, ვუფთხილდებით.

კიდევ ორ ღვთისნიერ და ბრძენ კაცს, პროფესორებს მერაბ ჯიბლაძეს და რობერტ ბაბლიძეს უთქვამთ:

„გვინდა ვირწმუნოთ, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილის გუნდში აღმოჩნდება კეთილი კაცი, რომელიც არ მოერიდება სიმართლე უთხრას მას იმის შესახებ, რა ხდება ქალაქებსა და რაიონებში, რა განწყობაა ხალხში, და რა უბედურება ტრიალებს ზესტაფონელთა თავს“ - ო

გამოჩნდება თუ არა ეს კეთილი კაცი, რომელიც ამ მოწვევას გადმოგცემთ და ზესტაფონში ჩამოსვლას გირჩევთ, ამას ზესტაფონი დაინახავს, სადაც როგორც დამანგრეველი სტიქია, ისეთ ტემპში მოქმედებს „ქართული ოცნების“ ერთი ნაწილისაგან მხარდაჭერილი მერაბ სამადაშვილის ანუ მიხეილ საკაშვილის ოჯახის მაფია.

ზესტაფონი კეთილი კაცის მოლოდინშია!!!
იქნებ ეს როლი ამ გაზეთმა შეასრულოს!!!

ქართულ „ბერმუდის სამკუთხედად“ ქცეული ქართული მრეწველობის ხერხემალი

„სახელმწიფო -იმისთვის კი არ არსებობს, რომ იცხოვრო, არამედ უპირატესად იმისათვის, რომ ბედნიერად იცხოვრო“
- არისტოტელე



ჩვენი აქტიური ჩარევა ფერომაფიის საქმეში განაპირობა უკანონობის მორევმა,რომელშიც ჩაფლულია საქართველოს ეკონომიკური ღერძის: ზესტაფონი-ჭიათურა-ტყიბული კომპლექსი. მიზეზთა გამო ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა ზესტაფონის მოსახლეობა. მათგან არაერთმა შეხვედრამ, მათ მიერ გადმოცემულმა მასალებმა განმიახლეს ის ტკივილი, რომელიც უკავშირდება ჩემი გუბერნატორობის დროს ფერომაფიასთან ბრძოლის პერიოდს.

სწორედ, იმ უმძიმეს წლებში მივიღეთ მდგომარეობის მოწესრიგების კომპლექსური გეგმა, რომელშიც მრავალი ისეთი საკითხი იყო, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას. აი, ერთი მათგანი: „... ეთხოვოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრს, რომ სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოს მიერ ზესტაფონის რაიონში სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვებაზე ლიცენზიების გაცემის საკითხის განხილვაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს ზესტაფონის რაიონის საკრებულოს, რაიონის გამგეობის, ქალაქ ზესტაფონის საკრებულოსა და გამგეობის სამ-სამმა წარმომადგენელმა; ღიაობის და საჯაროობის პრინციპებიდან გამომდინარე, საბჭოს შესაბამის სხდომებს დაესწრონ რაიონში მოქმედი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჟურნალისტები და მოხდეს სხდომების მიმდინარეობის ვიდეოჩაწერა დაინტერესებული პირებისათვის სათანადო ინფორმაციის დაუბრკოლებელი მიწოდების მიზნით...“

მაშინ, სამწუხაროდ, ვერ შევძელი ბოლომდე მიმეყვანა ბრძოლა შეგარდნაძე-სააკაშვილის ერთობლივ კლანთან, რომელიც მოგვიანებით მთლიანად სააკაშვილის ოჯახმა ჩაანაცვლა; ბრძოლა „მხედრიონთან“, ბრძოლა სილიკომანგანუმის უკანონო მითვისებასთან, რომელსაც თავიდანვე ხელმძღვანელობდნენ სამი პარლამენტარი და კრიმინალური სამყაროს სამი ცნობილი სახე, როგორც თავად ამბობენ, კანონიერი ქურდი.

დღეს ძნელია დააჯერო ვინმე, რომ ეს იყო თავგანწირული ბრძოლა. ვაღიარებ, მაშინ ვერ მოვერიე. ამდენად, ვალში ვარ იმ ადამიანებთან, რომელთაგან მივიღე შემაძრწუნებელი ინფორმაციები და მასალები. მიუხედავად სასურველი შედეგების მიუღწეველობისა, დარწმუნებული ვარ, ზესტაფონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაადასტურებს - ეს არ იყო უბრალო ბრძოლა.

ჩვენ არავის, არც ერთ მხარეს არ ვიცავთ. ჩვენთვის არ არსებობს შპს „ბარაქასა“ და შპს „დინექს 2002“-ის დავაში საკითხის პერსონალური მხარე. ჩვენ ვითხოვთ, მხოლოდ და მხოლოდ დოკუმენტურ ანალიზს და შემდგომ კანონის მიერ რეაგირებას, ვინაიდან ჩვენ არც ერთ მხარეს არ ვიცავთ, ჩვენ ვიცავთ ზესტაფონს! ვიცავთ ზესტაფონს, რომელშიც სხვისი საკუთრების ნგრევა გრძელდება დიდი სიშმაგით და მაღალი ტემპით. განსაკუთრებული ბარბაროსობით იქცევიან ამ დღეებში, ვინაიდან სექტემბრის დასაწყისში იწურება საგარაუდოდ გაყალბებული ლიცენზიის ვადაც.

ჩვენი პარტიის ანალიტიკური ჯგუფის აზრით იკვეთება უხეში დარღვევები შემდეგი მიმართულებით:

პირველი - ლიცენზიები, რომელთა საფუძველზე „დინექსი - 2002“ ეწევა წიდის შეგროვებას, შესაძლოა გახლდეთ გაყალბებული;

მეორე - დარღვეულია კერძო მესაკუთრეთა უფლებები, მიზანმიმართულად ზიანდება კერძო საკუთრება, მიყენებულია ძალზე სერიოზული მატერიალური ზარალი;

მესამე - იგნორირებულია ბუნებისდაცვითი ღონისძიებები ზიანდება ატმოსფერო, წყალი, მიწის საფარი;

მეოთხე - მიკრობიოგარემოს დაზიანების გამო კატასტროფულია რეგიონში სპეციფიკური დაავადებების მაჩვენებლები. განსაკუთრებით საგანგაშოა ჩვილთა და სასკოლო ასაკის ბავშვთა შორის ცალკეული ნოზოლოგიების მიხედვით ავადობა;

მეხუთე - კადრები, რომლებიც ათწლეულების მანძილზე

საგამოძიებო, სამართალდამცავ და სასამართლო სტრუქტურებში იცავდნენ დავის ერთი მხარის ინტერესებს, კვლავ ადგილებზე არიან, ან დაწინაურდნენ და კვლავაც განაგებენ ამ დავასთან დაკავშირებული საკითხების „შესწავლას“ და „სამართლებრივ“ გადაწყვეტას.

მოსახლეობა გმინავს თავგასულ მეწარმეთა მტაცებლური ბუნების უღელქვეშ. სწორედ იმ რეგიონებსა და რაიონებში, რომელთა განსაკუთრებული სიმდიდრის გამო გამორჩეულად კარგად უნდა ცხოვრობდეს ადგილობრივი მოსახლეობა, ხალხი განსაკუთრებით დაჩაგრულია.

ზესტაფონლები თვლიან, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დაასრულა ქართველხალხზე “ნაცების” ბატონობა და მას ყველაზე უკეთ შეუძლია იმის დასრულება, რაც დღემდე ვერავინ შესძლო - ბიზნესში მეჯღანუაშვილების და პოლიტიკაში ყვარყვარეების დასრულება. ისინი ღრნიან ქართულ სულს, ებრძვიან სახელმწიფოს, წამებაში ჰყავთ ხალხი, მონობაში გამგებლები, მერები, გუბერნატორები, არაერთიმინისტრი და მაღალჩინოსანი და, რაც ყველაზე გამაოგნებელია, რეალურად ებრძვიან ახალ ქართულ სახელმწიფოს.

ეს ეხება ფოთს... ეს ეხება მადნეულს... ეს ეხება ტყიბულს...

მოგეხსენებათ, ზესტაფონის ფუნქციონირება დაკავშირებულია ჭიათურის ფასდაუდებელ სიმდიდრესთან. გარდა იმისა, რომ ჭიათურის სამთომოპოვებითი კომპლექსი შეიჭრა საცხოვრებელი რაიონების ტერიტორიაზე და პირდაპირი საფრთხე შეუქმნა საცხოვრებელ სახლებს, მიმდინარეობს ინერტული მასალების უკონტროლო გატანა, რითაც ნადგურდება უნიკალური მუხნარის მასივი და საფრთხე ემუქრება მე-11 საუკუნის ხუროთმოძღვრების მოქმედ ძეგლს - წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიას (!). რაიონში, რომელიც წლების მანძილზე ქმნიდა და დღესაც უნდა ქმნიდეს საქართველოს სიძლიერეს, მოსახლეობის დიდ ნაწილს მიეწოდება პრაქტიკულად უვარგისი სასმელი წყალი და ეს მაშინ, როდესაც სწორედ უკონტროლო მეწარმეობამ ხალხს დაუკარგა სასმელი წყლის ათობით წყარო.

საერთო-სახალხო სიმდიდრის დატაცება გრძელდება, მდიდრდებიან მაფიოზები, რომლებიც არამად ნაშოვნი ქონების ერთ ნაწილს ისევ ხალხის დასაჩაგრად მოიხმარენ. ისევ მათ წინააღმდეგ წარმართავენ ერის მოღალატე და მოძულე პოლიტიკოსების ათწლეულის მანძილზე დაფინანსების გზით.

ყველა ეს უბედურება კი დაიწყო მაშინ, როცა მიხეილ სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი გახლდათ.

მიხეილ სააკაშვილმა - მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა - პირადად არ დაუშვა ჭიათურა - ზესტაფონი - ტყიბულის ერთიანი სამრეწველო კომპლექსის შექმნა;

მიხეილ სააკაშვილმა - მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა - სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები ხელთ ჩაუგდო საეჭვო წარსულის მქონე პირებს და მათ დღემდე გაურკვეველ უცხოელ პარტნიორებს.

მიგვაჩნია, პრობლემის მასშტაბიდან გამომდინარე, უნდა შეიქმნას სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი, რომელთან სათანამშრომლოდ მზად გახლავან როგორც ჩვენი პარტიის ანალიტიკური ჯგუფის წევრები, ისე ჩვენი მეგობარი მეცნიერები.

გარწმუნებთ, ამ გაზეთის არც ერთი სიტყვა არ არის იოტისოდენი გადაჭარბება, ისინი ემყარება უმძიმეს ფაქტობრივ მასალებს და რეალურ მდგომარეობას.

ვაფიქსირებთ რა უმძიმეს დამოკიდებულებას ფერომაფიისა და კრიმინალური კლანების მიმართ, ვამბობთ: ზესტაფონი - ჭიათურა - ტყიბული, ქართული მრეწველობი ს ხერხემალი, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქართულ ბერმუდის სამკუთხედად აქცია, როგორც ერთიანი სამრეწველო კომპლექსი უნდა დაუბრუნდეს ქართველ ხალხს, ქართულ სახელმწიფოს.

პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე
თეიმურაზ შაშიაშვილი

ეს იქნება სამამულო ბრძოლა ბიზნესში მოპარპაშე მეჯღანუაშვილების დაპოლიტიკაში გადავარდნილი ყვარყვარეების ეპოქის დასრულებისათვის.

სიყალბეზე აგებული ბიზნესი

2003 წლის 8 აპრილს შპს „ბარაქას“ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების თანახმად ო. სამადაშვილმა შეიძინა შპს „ბარაქას“ 33,36% (29760 ლარი), ხოლო გ.გალუაშვილმა 16,66% (14 860 ლარი) .

2000 წლიდან შპს „ბარაქას“ მეწილე გახდა ომარ სამადაშვილი (პარლამენტარ მერაბ სამადაშვილის ძმა), რომლის მისვლის დღიდან დაიწყო ბრძოლა შპს „ბარაქას“ ქონების სრულად ხელში ჩასაგდებად.

აღნიშნულის განსახორციელებლად მან საგარაუდოდ დაიწყო მიზანმიმართულად დოკუმენტების გაყალბება. კერძოდ, შპს „ბარაქას“ დამფუძნებლებმა თითქოსდა 2002 წლის 20 დეკემბერს N 7 წერილით მიმართეს შპს „დინექს-2002“ დირექტორს ო. სამადაშვილს, რომლითაც პარტნიორები უფლებას აძლევდნენ შპს „ბარაქას“ კუთვნილ ტერიტორიაზე მოეხდინა სილიკომაგანუმის ქერქული ნარჩენების შეგროვება - გადამუშავება.

წერილს ხელს შპს“ „ბარაქას“ პარტნიორთა სახელით აწერს ხელს გაურკვეველი ხელწერით, რომლითაც სამ შემთხვევაში შეუძლებელია გვარისა და პიროვნების გარკვევა. ხოლო სამი არანაირ პარტნიორს არ წარმოადგენს (თ. გიგაშვილი, ა.კაკაურიძე, ა. დეკანოიძე). უფრო მეტიც, აღნიშნული ხელმოწერები საგარაუდოდ გაყალბებულია.

ამდენად, ზემოაღნიშნული გაყალბებული წერილი გახდა საბაბი იმისა, რომ შპს „დინექსი 2002“-სათვის მიეცათ უფლება შპს „ბარაქას“ ტერიტორიაზე მოეპოვებინა და გადაემუშავებინა სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტის მიერ ლიცენზია გაცემულია 2003 წლის 11 სექტემბერს „10“ წლით და მოქმედია მხოლოდ „2003“ წლის განმავლობაში (?!), რაც ურთიერთწინააღმდეგობაში მოდის ერთმანეთთან, ვინაიდან თუ ლიცენზია გაიცა 2003 წლის 11 სექტემბერს 10 წლის ვადით, მაშინ მისი მოქმედების ვადა უნდა იყოს არა 2003 წელი (ანუ 2003 წლის 11 სექტემბერიდან 2004 წლის 1 იანვრამდე) არამედ 2013 წლის 11 სექტემბერი.

აღნიშნული გარემოება გვაძლევს საშუალებას გამოვთქვათ გონივრული ეჭვი იმისა, რომ „10 წლით“ საეჭვოდ წერია, რადგანაც „1“-იანი დაწერილია მყარად, ხოლო „0“ საეჭვოდ არის ჩაწერილი, თუ მიწერილი.

თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ წარმოდგენილი სიყალბის დასადგენად (2003 წლის 11 სექტემბრიდან დღემდე) გრაფოლოგიური ექსპერტიზა არ ჩატარებულა, თუმცა რა საჭიროა გრაფოლოგიური ექსპერტიზა, როცა სიყალბის ფაქტები ისედაც სახეზეა (მხედველობაში გვაქვს ლიცენზიის მოქმედების ვადის გადასწორების, ანუ გაყალბების ფაქტი).

მიუხედავად ო. სამადაშვილის მიერ მიღებული ლიცენზიისა, იგი 2003 წლის 11 სექტემბრიდან დღემდე ფლობს გაყალბების გზით მოპოვებულ ლოცენზიას და განაგრძობს სილიკონმანგანუმის ქერქული ნარჩენების შეგროვება - გადამუშავებასა და რეალიზაციას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტს ლიცენზია შპს „დინექსი 2002“-სათვის უნდა მიეცა იმ შემთხვევაში, თუ შპს“ ბარაქას“ მიერ გაცემული იქნებოდა შემდეგი დოკუმენტები და შესრულებული იქნებოდა მოსამზადებელი სამუშაოები:

- შპს „ბარაქას“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი (და არა გაყალბებული წერილი, რომლთაც დადგინდებოდა შპს „დინექსი - 2002“-თან ურთიერთპარტნიორობის პირობები);

- შპს „ბარაქას“ პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე შპს“ბარაქასა“ და შპს „დინექსი - 2002“ შორის უნდა გაფორმებულიყო ურთიერთპარტნიორობის ხელშეკრულება. კერძოდ, ურთიერთშორის უნდა განსაზღვრულიყო ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. ასევე უნდა განესაზღვრათ საგარაუდო შემოსავლები და ის ხარჯები, რაც დაკავშირებული იქნებოდა ტოპოგრაფიული გეგმებისა და ტექნოლოგიური სქემების შედგენასთან.

ხელშეკრულებაში ასევე უნდა განესაზღვრათ მიწის ფართობი და მოსაპოვებელი სილიკომანგანუმის ნარჩენების საგარაუდო რაოდენობები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტების საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირების და ნებართვის დეპარტამენტში წარდგენის შემდეგ უნდა მოეხდინათ ლიცენზიის გაცემა, თუმცა დეპარტამენტმა ერთი ფარატინა გაყალბებული წერილის საფუძველზე ერთი წლის ვადით გასცა ლიცენზია (2003 წლის განმავლობაში) თუმცა (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ) გაყალბებული ლიცენზია დღეის მდგომარეობითაც მოქმედებს.

ამდენად, ო. სამადაშვილმა ლიცენზიის ასაღებად საჭირო დოკუმენტების ნაცვლად წარადგინა გაყალბებული წერილი, რის საფუძველზეც მიიღო ლიცენზია და შემდგომ ისიც გააყალბა.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ 2003 წლის 11 სექტემბრიდან დღემდე, ო. სამადაშვილის მიერ შეგროვებულ-გადამუშავებული სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები ულიცენზიოდაა მოპოვებული და უკანონოა.

შპს“ფარი და მახვილის“ ექსპერტ გ. წულაიას მიერ 2010 წლის 29 მარტს შედგენილი ექსპერტიზის დასკვნა ზემოაღნიშნულზე იძლევა შემდგომ განმარტებებს. კერძოდ: 2010 წლის 29 მარტის მდგომარეობით ო. სამადაშვილის მიერ შეგროვებულ იქნა 75 293 ტონა სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენები, რომლის გადამუშავების შემდეგ საგარაუდო გამოსავლიანობა იქნებოდა 19 519 ტონა.

- ამოღებული 19 519 ტონა სილიკომანგანუმის რეალიზაციით ო. სამადაშვილის მიერ საგარაუდოდ მიღებულ იქნა შემოსავლის სახით 11.711.400 აშშ დოლარი (1 ტონა სილიკომანგანუმის სარეალიზაციო ფასად აღებულ იქნა მინიმალური ფასი: 1 ტონა 600 აშშ დოლარი).

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირების დეპარტამენტს 2003 წლის 11 სექტემბერს შპს „დინექსი - 2002'' - ის მიმართ წიაღით სარგებლობის ლიცენზია N 0531 არ უნდა გაეცა თუ არ იქნებოდა წარდგენილი დოკუმენტები:

1. შპს „ბარაქას“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების ოქმი (და არა გაყალბებული წერილი)., რომლითაც დადგინდებოდა შპს“დინექსი - 2002“ - თან პარტნიორობის პირობები.

2. შპს „ბარაქას“ და შპს „დინექსი - 2002“ -ს შორის უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება, მათ მიერ აღებულ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობის შესახებ.

- შპს „დინექსი - 2002“-ის მიერ არ არის შედგენილი წიაღით სარგებლობის ტექნოლოგიური სქემები და იგი არ არის შეთანხმებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.

- ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში თუ არ გაიცემოდა ახალი ლიცენზია, ძველი გაუქმებული ლიცენზიით სარგებლობა ყოვლად დაუშვებელია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 3-5). ვინაიდან „იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმებულია ძველი კანონი, არ ნიშნავს გაუქმებული (ძველი) კანონის ამოქმედებას“.

ახალი ლიცენზიის აღება შეთანხმებული უნდა ყოფილიყო ჯერ კერძო მესაკუთრეებთან და შემდგომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან.

- შპს „დინექსი - 2002“-ის მიერ შპს „ეკომეტალისათვის“ (როგორც უფლებამონაცვლე) ლიცენზიის გადაცემა (სად ჰქონდა შპს „დინექსი - 2002“-ს ლიცენზია (?), იგი ვადაგასული და უკვე გაყალბებული იყო). თუ ლიცენზია სხვა თვალსაზრისით სამართლიანად იქნებოდა გაცემული, ვფიქრობთ, მაინც შპს“ბარაქასთან“, როგორც კერძო მესაკუთრესთან შეთანხმების გარეშე არ შეიძლებოდა.

ჩვენს მოსაზრებებს აღნიშნულ ლიცენზიის უკანონობის თაობაზე ამყარებს მეორე ლიცენზიასთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც ეხება სახელმწიფოსთან „დინექსი - 2002“ ურთიერთობებს

შპს „დინექსი - 2002“ - ზე წიაღით სარგებლობის შესახებ 2004 წლის 27 თებერვალს სერია 29N0567 ტიპი 110 წიაღით სარგებლობის ლიცენზიის კანონიერების შემსწავლელი კომისიის წევრის ადვოკატ რუსუდან ლელაძის მიერ შედგენილი დასკვნის თანახმად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2004 წლის 27 თებერვალს „დინექსი-2002“ - ზე გაცემული წიაღით სარგებლობის ლიცენზია (სერია - 29, N 567, ტიპი -110) მიჩნეულია უკანონოდ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტად და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვების გაცემის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძვლით, რომელიც ბათილად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე - 60 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რადგან ეწინააღმდეგება კანონს, არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმებისა და შპს „დინექსი - 2002“-ის წიაღსარგებლობისა და მოპოვების ამკრძალავ გარემოებებს.

მართალია, ეს უკანასკნელი ფრაგმენტი დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტთან. სახელმწიფოში კანონიერების დამყარებასთან, სახელმწიფოებრივი ხედვისა და წესრიგის ფორმირებასთან. ამდენად, ჩვენ არ შეგვეძლო გვერდი აგვევლო მოცემული ფაქტისათვის. მით უმეტეს, იგი ამტკიცებს სამადაშვილების კლანზე (და არა მხოლოდ) ჩვენს შეხედულებებს.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ძმები სამადაშვილები იყვნენ საქართველოს პრეზიდენტის კარის ბიზნესმენები. მათ დააფინანსეს როგორც 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, ასევე საპარლამენტო თუ ადგილობრივი არჩევნები და ქ. თბილისის მერის გ. უგულავას საარჩევნო კომპანიაც. ამისათვის სამადაშვილებმა გაიღეს ათეული მილიონობით ამერიკული დოლარი. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ ჩადენილი აქვთ ეკონომიკური, პოლიტიკური და ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის დანაშაულებების სერია. ზესტაფონში ხმამაღლა საუბრობენ ამ ბიზნესთან ქალბატონ სანდრა რულოვსის შშობლებისა და ძმის მჭიდრო კავშირზე, რაც დასტურდება გაურკვეველ ჰოლანდიურ ფირმებთან საქმიანი კავშირებით. მხედველობაში გვაქვს „აპიკლ.ტოლ.ინტერნეიშნლ ბ.კ.“ , რომლის თაობაზე დაინტერესებულმა პირებმა მიმართეს აღნიშნული ქვეყნის საელჩოს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დოკუმენტებში მითითებულ მისამართზე ასეთი ფირმა არ არსებობს.

იმის გამო, რომ 11 სექტემბერს იწურება ჩვენს მიერ ზემოთხენებული საეჭვო ძალის მქონე ლიცენზიის მოქმედების ვადა, მაფია ხდება დაუნდობელი. უკანონოდ ინგრევა და ნადგურდება სხვისი ქონება ზემოგებისა და სწრაფი გამდიდრების მიზნით.

პარტია „თეთრების“ ანალიტიკური ჯგუფის სახელით
ოთარ ჩიხლაძე
გიორგი სიხარულიძე

მოაზროვნე და მამულისმოყვარული ზესტაფონლები დიდ ბრძოლას იწყებენ ზესტაფონის გადარჩენისათვის.

მტაცებლობის ქრონოლოგია

(ასე იწყებოდა ზესტაფონის დაქცევა)

2005 წ. სს“ფეროს“ სახელმწიფოს საგადასახადო შემოწმების შედეგად, დამალული შემოსავლების აღმოჩენის გამო დაერიცხა 63 მლნ ლარის ოდენობის ჯარიმა. „სახელმწიფოსაგან თავის დაცვისა“ და სს „ფეროს“ აქტივების შენარჩუნების მიზნით ქართველ აქციონერებს (ი. კოკაია, გ. კაპანაძე) მართველობაში დროებით შემოყავთ ინგლისური კომპანია „სტემკორი“, რომელიც თითქმის ერთდოულად 2006 წლის შემოდგომაზე აფუძვნებს ორ შპს „ჯორჯიან მანგანეზს“, ერთს საქართველოში, მეორეს ოფშორში - კვიპროსი. 2006 წლის დეკემბერში სს „ფეროს“ ზემოაღნიშნული დავალიანების (63 მლნ) დაფარვას და პარალელურად, სახელმწიფოს მიერ საპრივატიზაციოდ გამოტანილი ობიექტების - „ვარციხჰესი“- „ჭიათურმანგანუმი“ შესყიდვას ახორციელებს „სტემკორის“ მიერ კვიპროისში დაფუძვნებული შპს „ჯორჯიან მანგანეზ ჰოლდინგს ლიმითედი“. ბიუჯეტში აღნიშნულ საჯარიმო თანხასთან ერთად დამატებით ირიცხება პრივატიზაციის თანხები 57 მლნ. აშშ. დოლ. ვარციხისათვის და 25 მლნ. აშშ. დოლ. ჭიათურმანგანუმისათვის.

2007 წ. 5 იანვარი. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან დადებული შეთანხმების შედეგად, სამივე სამრეწველო ობიექტის ოპერირება (მართვა) დაიწყო საქართველოში, ზესტაფონში, საქარხნოს ქ.9-ში (ანუ გ. ნიკოლაძის

სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის ბაზაზე) დაფუძვნებულმა შპს „ჯორჯიან მანგანეზმა“, რომლისმენეჯმენტშიცინგლისური„სტემკორის“ კადრები, უეცრად (?!) ჩანაცვლებული იქნა საეჭვო რეპუტაციის უკრაინული კორპორაცია „პრივატ-ინტერთრეიდინგის“ კადრებით.

სამინისტროსა და შპს-ს მენეჯმენტს შორის გაფორმებული მემორანდუმით შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ იღებდა ვალდებულებას:

ჭიათურაში 2007 წელს მოეპოვებინა 300 ათასი ტ. მანგანუმის მადანი. ფაქტობრივად კი მოპოვებული იქნა 190 ათასი ტ.;

2008 წელს მოეპოვებინა 400 ათასი ტ. მადანი. ფაქტობრივმა მოპოვებამ შეადგინა 220 ათასი ტ.;

2008 წელს მოპოვებული ნედლეულიდან 50%, ანუ არანაკლებ 200 ათასი ტონა მადანი უნდა გადამუშავებულიყო საქართველოში, რისთვისაც „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში“ უნდა ამუშავებულიყო ახალი ღუმელები. პირობა არ შესრულდა, პირიქით დაიშალა და ლიკვიდაცია ჩაუტარდა წლების მანძილზე დაკონსერვებულ მდგომარეობაში მყოფ კაზმის მოსამზადებელ აგლოფაბრიკას, ამჟამად მიმდინარეობს განსაკუთრებით მაღალხარისხიანი ფეროშენადნობების წარმოებისათვის უნიკალური II საამქროს სარაფინაციო სპეცღუმელების დემონტაჟი;

ფეროშენადნობის წარმოება 2007 წელს უნდა გაზრდილიყო 200 ათასი ტონამდე. წარმოებამ კი ფაქტობრივად შეადგინა 116 ათასი ტ.;

2008 წელს ფეროშენადნობის წარმოება უნდა გაზრდილიყო 300 ათას ტონამდე. წარმოებამ კი შეადგინა 129 ათასი ტ.;

გრძელვადიან პერსპექტივაში მადნის წლიური მოპოვება უნდა გაზრდილიყო 700 ათას ტონამდე, ხოლო ფეროშენადნობის წლიურ წარმოებას უნდა მიეღწია 400 ათას ტონამდე. პირობა არ შესრულდა და მისი შესრულება დღესაც კი არ იგეგმება; შესაბამისად, საქართველოს ბიუჯეტი კარგავს სოლიდურ შემოსავლებს;

ორ წელიწადში, 2009 წლისათვის, იმერეთში დამატებით უნდა შექმნილიყო 1000 ახალი სამუშაო ადგილი, უნდა გაუმჯობესებულიყო მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო და უსაფრთხოების პირობები. პირობა არ შესრულებულა, მიმდინარეობს ადგილობრივი კადრების შემცირება. დღეისათვის სამსახურებიდან დათხოვნილია 400-მდე ადგილობრივი კადრი, მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხოვნობა შემცირებულია 2230 კაცამდე;

2007-2008 წლების განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო 100 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია. პირობა არ შესრულებულა. განხორციელდა საინვესტიციო ვალდებულებების მოჩვენებითი შესრულება ამორტიზებული და საზღვარგარეთ წლების წინ ჯართად ჩამოწერილი მოწყობილობა-დანადგარების შემოტანის ხარჯზე (გაყალბების ზუსტი მასშტაბები და ფორმები უცნობია).

სს „ფეროს“ აქტივების შპს „ჯორჯიან მანგანეზზე“ გადაბარების პროცესში მითვისებული იქნა 3414 სუბიექტის (ფიზიკური პირის) საკუთრებაში არსებული (სახელმწიფოს მიერ გაცემული) სს „ფეროს“ აქციების 2,7% შესაბამისი უძრავ-მოძრავი ქონება.

შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ ფიზიკური პირებისადმი არანაირ ვალდებულებას არ აღიარებს და დივიდენდების გადახდაზე უარს ამბობს. გაუცემელი დივიდენდების მასშტაბებმა 2007 წლიდან დღემდე პერიოდში სავარაუდოდ 20 მლნ. აშშ დოლ. უნდა შეადგინოს.

თვალთმაქცობა ხელშეუხებლობისათვის

(ინდულგენცია ყველა ხელისუფლებისაგან)

შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ 202 მლნ. ლარით დაჯარიმების შემდეგ, 2012 წლიდან შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ უკრაინული მენეჯმენტისა და აქციონერების მიერ აშშ-ში ვირჯი-ნიაში, ქ. მაიამში დაფუძვნებული და თავისივე ახლობლებით იქნა დაკომპლექტებული შპს „ჯეო-ამერიქან ელლოისი“. 2012 წლის მარტში მოხდა შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ აქციების გადაცემა (ფიქტიური მიყიდვა) ვითომდა ამ ამერიკული კომპანიისათვის. 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მთავრობის ცვლილებითა და ახალი სახელისუფლებო კადრების გაუთვითცნობიერებლობით უმალ ისარგებლეს წარმოების მესვეურებმა და ახალ მთავრობას თავი „მიასაღეს“, როგორც - ჭეშმარიტად ამერიკული კომპანია და მენეჯმენტი. ახალმა ხელისუფლებამაც ვერაფრით გაუწია ზესტაფონში გამეფებულმა უკანონობას და უსამართლობას კონტროლი და წარმოების მუშაობა უკონტროლო აბსოლუტურ თვითდინებაზე მიუშვა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა, როგორც მშრომელთა ყოფა და სამუშაო პირობები, ასევე - ქალაქ ზესტაფონისა და მისი შემოგარენის სოციალური ეკოლოგიური მდგომარეობა;

თქვენ ვის დაუჯერებთ?

ამონარიდი საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის №209/ 26 17.07.2013 წერილიდან:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი ... წერილი..., რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციას - შპს „დინექსი - 2002“ - ის მიერ ზესტაფონის ტერიტორიაზე განხორციელებული სილიკომანგანუმის ქერქული ნარჩენების მოპოვება-გადამუშავების საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს კონტროლის პალატის მიერ 2003-2006 წლებში ჩატარებული შემოწმების მასალებს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში მითითებული დოკუმენტაცია სახელწმიფო აუდიტის სამსახურის არქივში არ მოიპოვება, რადგან ამგვარი შემოწმება საქართველოს კონტროლის პალატას არ ჩაუტარებია.“ (სტილი დაცულია)

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ბატონი ნოდარ ებანოიძე გვარწმუნებს, რომ მან პირადად მოიკითხა ზემოხსენებული შემოწმების მასალები სახელმწიფო აუდიტის სამსახურში და მიიღო ინფორმაცია, რომ ასეთი დოკუმენტები აღნიშნულ უწყებაში არსებობს და როგორც საჯარო ინფორმაცია, ხელმისაწვდომია დაინტერესებულთათვის.

ჩვენ ვიცით, ვის უნდა დავუჯეროთ... იმედია - თქვენც!

ჩვენ ვიცით, რატომ გაიცა ასეთი წერილობითი პასუხი.. იმედია - თქვენც!

ჩვენ ვიცით, რას იმსახურებს ასეთი სახელმწიფო სტრუქტურა... იმედია - თქვენც!

მანიპულირება და ზემოგება

(ველური ბიზნესი)

განხორციელდა პროდუქციის თვითღირებულების 2-2,5-ჯერადი ზრდა (500-550 აშშ დოლ-დან 100-1500 აშშ დოლარამდე), შესაბამისად შემცირდა მოგება და მოგების გადასახადი;

ტონა პროდუქციაზე ელექტროენერგიის ხვედრითი ხარჯი გაიზარდა 30%-ით, რაც მძიმე ტვირთად დააწვა, როგორც წარმოებას, ასევე ენეგრო სისტემას. გაიზარდა ენერგოდისტრიბუციისა და გადაცემის ხარჯები; ტონა პროდუქციაზე ელ. ენერგიის ნორმატიული დანახარჯის 4000-4500 კვტ/სთ ნაცვლად შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ ხარჯი აყვანილი იქნა 5500-6000 კვტ/სთ-მდე;

იმპორტული კოქსის ხარჯმა მოიმატა 50%-ით (ნორმატიული 350 კგ/ტ-ს ნაცვლად შეადგინა 500-550 კგ/ტ), რაც გარდა პროდუქციის თვითღირებულების ზრდისა, უარყოფითად აისახა ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის ისედაც უარყოფით სალდოზე. წარმოება წელიწადში მოიხმარს 70-90 ათას ტ. კოქსს საერთო ღირებულებით 20-30 მლნ. აშშ დოლ. შესაბამისად, ზესტაფონიდან მხოლოდ კოქსის შეძენების სახით ყოველწლიურად გაუმართლებლად გაედინება 5-6 მლნ. აშშ დოლარით გაზრდილი თანხა.

მანგანუმის დანაკარგებმა ნაცვლად ნორმატიული 6%-სა შეადგინა 24%. აღნიშნული ატარებდა ფიქტიურ ხასიათს და მიზნად ისახავდა წარმოებული პროდუქციის რეალური მოცულობის ხელოვნურ შემცირებას. აღურიცხავი წარმოების სავარაუდო საშუალო წლიური ოდენობა 10-15 ათას ტონას შეადგენდა, საერთო ღირებულებით 15-20 მლნ. აშშ დოლ/წ. ქარხანაში ამჟამადაც დაფიქსირებულია მანგანუმის მადნის 20 ათას ტონამდე დანაკლისი, ჯამური ღირებულებით 3-4 მლნ. აშშ დოლ. განსხვავებით წინა პერიოდისაგან, ამჟამად, ამ ე.წ. დანაკლისის მიწერა ხორციელდება არა მტვერის გამოყოფაზე, არამედ - მზა შენადნობის თანმხლებ წიდაზე, რაც ასევე ტექნოლოგიური და სააღრიცხვო ნორმების უხეში დარღვევაა და შესაბამისი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს;

გადასახადების გადახდის თავიდან არიდების სქემის ჩარჩოებში მოხვდა მანგანუმის ადგილობრივი (ჭიათურის) ნედლეულის მოხმარების წილის შემცირება აფრიკიდან (განა, კოტ-დივუარი, სამხრეთ აფრიკა, მაროკო და სხვ.) და ავსტრალიიდან იმპორტირებული მადნების ხვედრითი წილის გაზრდის ხარჯზე. განის დაბალხარის-ხიანი კარბონატული მადანი, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 50 აშშ დოლარს, ზესტაფონში წლების მანძილზე შემოდიოდა 250 აშშ დოლარად. ჭიათურის მანგანუმის მადნის მოხმარებამ საშუალოდ 50% შეადგინა. ფეროშენადნობთა ქარხანა საშუალოდ წელიწადში მოიხმარს 300-400 ათას ტ. მანგანუმის კონცენტრატს. შესაბამისად, ზესტაფონიდან საზღვარგარეთ სისტემატიურად გადიოდა და ეხლაც გაუმართლებლად გადის 30-40 მლნ. აშშ დოლ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დასაქმებულთა სახელფასო ფონდი საერთო საქარხნო ბიუჯეტში წლების მანძილზე 3-5%-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ მაჩვენებლად მიიჩნევა. დაახლოებით 10-ჯერ ჩამორჩება განვითარებული მსოფლიოს ანალოგიურ წარმოებებში მომუშავეთა ანაზღაურებას და 2,5-3-ჯერადი სხვაობაა ისეთ ქვეყნების წარმოებებთან, როგორიცაა უკრაინა, ყაზახეთი, რუ-სეთი და სხვა.

ყველა დაზარალებულს, დასახიჩრებულს, მარჩენალდაკარგულს, პროფდაავადებულს და ა.შ. (400-450 ადამიანი) 2007 წელს შეუწყდა საკომპენსაციო თანხების გაცემა.

2011 წლიდან შეიქმნა ე.წ. „თბილისი ოფისი“ სახელწოდებით „ჯეო-ამერიქან ელლოის მენეჯმენტი“, ამ ე.წ. „ოფისის“ ხარჯები (500 ათასი ლარი თვეში 50 კაცზე !!!) ქარხანაში რეალურად დასაქმებული 2 230 კაცის თვიური სახელფასო ფონდის 25-30%-ს შეადგენს, ოფისის ერთი მუშაკი იღებს დაახლოებით 15 მუშის ხელფასს.

2011-2012 წლებში, მხოლოდ აშშ-ს ბაზარზე შეტანილი პროდუქციის ფასების ხელოვნური დაწევითა და მიღებული შემოსავალის საქართველოს საგადასახადო სისტემისათვის დამალვის მასშტაბმა შეადგინა 50 მლნ. აშშ დოლარი;

ფეროშენადნობის წარმოებასა და ექსპორტს ქვეყნის შემოსავლების მხრივ, 10-15%-ანი სეგმენტით, სალიდერო პოზიცია უკავია. ბიზნესის გათეთრების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი შესაძლოა 20-25%-მდე გაიზარდოს;

გენოციდი, სახელად ეკოლოგია

(დაუსჯელობის სინდრომი)

ფეროშენადნობთა ქარხანაში შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მენეჯმენტის შემოსვლიდან ყოველთვიურად ქარნახა გამოყოფს 2500-3000 ტონა მანგანუმშემცველ მტვერს, 98%-ის დაჭერა უნდა განახორციელოს ე.წ. მშრალმა ფილტრებმა. რომელთა მწყობრიდან გამოსვლისა და აღუდგენლობის გამო ატმოსფეროში გამოიყოფა გამონაბოლქვი მტვერის 25-30%, რაც 700-800 ტონას (ანუ 10-15 სარკინიგზო დუმპკარს) შეადგენს თვეში; ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი სულ მცირე სამჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს (ზდკ-0,15 მგ/მ3, ფაქტი - 0,5 მგ/მ3);

2008 წელს შექმნილი უმძიმესი ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების მოთხოვნის შესახებ შექმნილ წერილზე მოგროვდა 9500 კაციანი ხელმოწერა. სახელმწიფო კი მხოლოდ შპს-ს 154 ათასი ლარის დაჯარიმებით შემოიფარგლა;

სილიკომანგანუმის სტანდარტულ ფრაქციებამდე დაყვანის დროსაც გამოიყოფა მიკროსკოპული მასშტაბების ლითონური მტვერი დაქუცმაცებული მასის 0,5-1% ლითონური მტვერის გამოყოფის საშუალო წლიური მოცულობა 1000-1500 ტონის ფარგლებშია.

მინიმუმ 150 ათასი ტ. სილიკომანგანუმის წარმოების პირობებში ყოველწლიურად წარმოიქმნება დაახლოებით 400 ათასი ტ. თანმყოლი წიდა, რომელიც სხვა კომპონენტებთან ერთად შეიცავს 10-15% მანგანუმს და დაახლოებით 2%-მდე გოგირდს. აღნიშნული წიდის 60% გრანულირდება, ანუ ფხვიერდება თხევადი წიდის წყალში ჩასხმის გზით. ამ დროს, წიდაში არსებული გოგირდის ძირითადი ნაწილი ანჰიდრიდის სახით, წარმოქმნილ ორთქლთან შერეული მკვრივი ღრუბელის სახით წარიტაცება ჰაერში, სადაც ატმოსფერული ღრუბელის წყალთან შერევით წარმოქმნის გოგირდმჟავას. შედეგად, წვიმის დროს, გოგირდმჟავაშერეული კონდენსირებული წყლის ნალექით იწამლება გარემო და მოსახლეობის პირადი მიწის ნაკვეთები და საკარგულები. გოგირდ-წყალბადოვანი ნაერთების ატმოსფერული ემისიის საშუალო წლიური მაჩვენებელი 6-8 ათასი ტონის ფარგლებში მერყეობს;

ოფიციალური მონაცემებითაც კი ზღვრულ დასაშვებ ნორმებს გახსნილი ჟანგბადის ოდენობა აღემატება 2,05-ჯერ, ამონიუმის აზოტის - 3,15-ჯერ, რკინის - 1,4-ჯერ, ამნგანუმისა - 4,23-ჯერ;

წელიწადში 70-90 ათასი ტონა კოქსისა მაღალტემპერატურული მოხმარება და მანგანუმის მადანთან ერთად გადამუშავება დაკავშირებულია ე.წ. მხუთავი აირის CO და სათბური ეფექტის აირების CO2 NO2 SO2 ინტენსიურ გამოყოფასთან. ჯამში, ზესტაფონის გამოყოფილი მავნე და ტოქსიკური აირების გამოყოფის მაჩვენებელმა, ძირითადად ნახშირჟანგისა და ნახშირორჟანგის ხარჯზე შესაძლოა მიაღწიოს 150-200 ათას ტონას წელიწადში. იაპონური ზემძლავრი ჰერმეტული ღუმელებისაგან განსხვავებით, რომლებიც უფუნქციობის გამო ასევე დემონტირებული იქნა, ძველი სისტემის და ჯერაც მოქმედი ღუმელები არ არიან აღჭურვილი გამოყოფილი აირების ფილტრაციის ან გაუვნებელყოფისათვის აუცილებელი სისტემებით. რაც უმძიმეს მდგომარეობას უქმნის არა მარტო ზესტაფონის, არამედ მის მიმდებარე რაიონებსაც.

ღუმელების ექსპლოატაციის პირობების დარღვევების, აფეთქებების, ცხელი კაზმის ამოყრების, ხიდური ამწეების გაუმართავობის და სხვა ტექნიკურ-ორგანიზაციული მიზეზების გამო 2007 წლიდან მნიშვნელოვნად გაუარესდა შრომის პირობები და პირადი უსაფრთხოება. 2007 წლიდან დღემდე ქარხანაში დაიღუპა 5 და დაშავდა და დაინვალიდდა 10-მდე ადამიანი;

ხალხნო!
ერთად გადავარჩინოთ ზესტაფონის მომავალი

საქართველოში ძნელია იპოვო ქალაქი, რომელსაც იმდენი პრობლემა ჰქონდეს, რამდენიც ზესტაფონს აქვს.

ვთვლით რომ ყველა არსებული პრობლემა ჩვენი ქალაქისთვის სწორედ რომ ადგილობრივი ხელისუფლების დიდი დანაშაულია. მათი უმოქმედობისა და იმ საკადრო ცვლილების ბრალია, რომელიც ახლანდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაუფიქრებლად განახორციელა და პასუხად პრობლემების ყოველდღიურად ზრდა მიიღო. დღეს კი ჩვენს ქალაქს პრობლემა სამწუხაროდ არა ერთი და ორი აქვს.

ერთ-ერთ და შეიძლება ითქვას ყველაზე მთავარი პრობლემა, რომელიც სასრაფოდ მოგვარების ნაცვლად დღითიდღე მძიმდება ეკოლოგიაა. ყველგან და ყველასთან ყოველდღიური თხოვნისა და მიმართვის უშედეგოდ ცდის გამო, მისი მოგვარება მხოლოდ სასწაულად შეიძლება ჩათვალოს მოსახლეობამ:

ზესტაფონი ეკოლოგიურად ყველაზე მეტად დაბინძურებულ ქალაქად ითვლება მთელი საქართველოს მაშტაბით. ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ქალაქის გეოგრაფიული მგომარეობასთან ერთად გავლენას ახდენს ქალაქში თავმოყრილი რამდენიმე ფაქტებიც.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა ოჯახში დღეს ონკოლოგიური დაავადება მძვინვარებს და დღეს თუ არა ხვალ მაინც ამ მძიმე სენის წინაარმდეგ ბრძოლა ყველა ჩვენთაგანს მოგვიწევს.

კიდევ ერთი და მტკივნეული პრობლემა ჩვენი ქალაქისთვის ცემენტის ქარხნის მშენებლობა გახდა, რადგან ფეროშენადნობთა ქარხნისაგან ისედაც დაბინძურებულ ქალაქში , ცემენტის ქარხნის მსგავსი საწარმოების შექმნა და ამით ურთულესი ეკოლოგიური მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება მართლაც რომ მოუთმენელია. ბევრი პასუხისმგებელი პირის უმოქმედობა და საკუთარი ინტერესების გამოვლენა ამ ფაქტით კიდევ უფრო თვალნათელი გახდა. მითუმეტეს, რომ ქარხანა რეალურად ლიცენზიის გარეშე შენდება, შ.პ.ს. „ავანტ“-ის დირექტორის მიერ წამოწყების მოსაწონებლად გაჟღერებული ორმოციოდე ადამიანის დასაქმების ხელშეწყობა, მთელი ქალაქის დავადების ხარჯზე სხვა რომ არაფერი, უბრალოდ შეურაცხყოფაა ზესტაფონელთათვის.

კიდევ ერთი რის გამოც ერთეულების ყურადღების ცენტრში ჩვენი ქალაქი მოექცა საქარის საცდელი სადგურია. მევენახეობა ზესტაფონელთათვის ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი დასაყრდენი არსებობისა

1840 წ. ზესტაფონში შექმნილი მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო ცენტრში 2013 წლამდე ქართული ვაზის ჯიშების უნიკალური ღვინოების ენოთეკა ფუნქციონირებდა, სადაც 1905 წლის ჩამოსხმული ღვინის პირველი ბოთლი ინახება. 2011 წლის ივლისში გილაურის ბრძანებით ეს სამეცნიერო ცენტრი აგრარულ უნივერსიტეტს შეუერთდა. დღეს ამ უნიკალური კოლექციის ყუთებში ჩალაგება და თბილისში აგრარულ უნივერსიტეტში გადატანა მიმდინარეობს, რაც თავის მხრივ ამ ისტორიული დაწესებულების გაუქმების წინაპირობაა და რაც ყველაზე მთავარია, ამით ცდილობენ გაანადგურონ მეურნეობის ეს ისტორიული დარგი. მევენახეობა-მეღვინეობის უკუსვლა კი მტკივნეულად მოქმედებს მოსახლეობაზე. სათუთად მოპყრობილ ვაზს და წლების მანძილზე ნალოლიავებ სამეცნიერო ცენტრს ვფიქრობთ სხვაგვარი ყურადღება სჭირდება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დღემდე გადაუჭრელი საკითხი ვაუჩრების გაუცემლობაა

ახალი ხელისუფლების მიერ გაჟღერებული სიტყვები , რომ სოფლის მეურნეობა აყვავდებოდა, მართლაც მალამოსავით მოეცხო გულზე მოსახლეობას, თუმცა დღემდე ილუზიად რჩება დახმარების მოლოდინი , რადგან უკვე თვეებია ელის ხალხი შეპირებულ კუთვნილ ვაუჩერს, რომლითაც საგაზაფხულო სამუშაოები კარგა ხნის წინ უნდა შეესრულებინათ. დღემდე დაუმუშავებელი აქვს გლეხობის უდიდეს ნაწილს ნაკვეთები, მოლოდინი კი დაუსრულებლად გრძელდება. რატომ მოხდა რომ ზოგმა მიიღო იგი , ზოგი ისევ მოლოდინშია?. რაზეც რაიონის გამგეობაში დილიდან საღამომდე თითქმის ყოველდღე მდგომი ათობით ადამიანი უცნაურ და გაურკვეველ პასუხს იღებს, რაც ყველაზე მეტად აღშფოთებას იწვევს ის არის , რომ საკუთარ სკამებზე კარგად მოკალათებული ე.წ. „პასუხისმგებელი პირებს“ სასაცილოდაც არ ჰყოფნით გლეხობის გულისტკივილი. ფაქტია ისიც რომ სიების არევის თავდაპირველი მიზეზი ყველასათვის ნაცნობი, ძველი ხელისუფლების გადმონაშთი ის რწმუნებულები იყვნენ, რომლებიც დღემდე ერთგულად არიან შეყვარებული ნაციონალურ მოძრაობაზე, მყარად არიან მორგებული ძველ თანამდებობებსა და ამის გამო არაფერს დარდობენ. რაც მთავარია ეს რეალობა კარგად იცოდა თავად ზესტაფონის დღევანდელმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ. თუმცა ამის აღმოსაფხვრელად თითიც არავის გაუნძრევია. ამ და კიდევ ბევრ მიზეზთან ერთად ხალხის მთავარ აღშფოთებას იწვევს ის რომ ყოველდღიური პრობლემით სავსე მოსახლეობას იმედი გაუცრუა დღევანდელმა ხელისუფლებამ, რადგან ხალხს რეალურად სჭირდება ისეთი ხელისუფალნი, რომლებიც გულთან მიიტანენ მათ სატკივარს.

ვიბრძვით შეძლებისდაგვარად, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ. არადა მართლაც ძნელია ამას ვუყუროთ, ზესტაფონს კი მართლაც დროულად სჭირდება გადარჩენა.

ზესტაფონის გადასარჩენად შეკრების
საინიციატივო ჯგუფი

SOS - საშიშია სიცოცხლისათვის!!!
ციფრები უბედურების ზონიდან

დადგენილია,რომორგანიზმშიმანგანუმისჭარბადდაგროვებისასიშლება სპერმატოგენეზი და ოოგენეზი, რაც იწვევს რეპროდუქციის პროცესების დარღვევას. (ბუნებრივი აბორტი, მკვდრადშობადობა, სიმახინჯეები და სხვა). ასევე, მანგანუმის წარმოებაში აღინიშნება შემ-დეგი პროფესიული დაავადებების განვითარება: მანგანუმით ქრონიკული ინტოქსიკაცია, მაგანუმისმიერი ბრონქული ასთმა, ასთმური ბრონქიტი, მტვრისმიერი ბრონქიტი - მანგანო-კონიოზი, ვიბრაციული დაავადება, ვიბრომანგანიზმი, სმენის ნევრიტი, ალერგიული დერ-მატიტი და სხვა. ასევე ადგილი აქვს მრავალრიცხოვანი სომატური დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, ენდოკრინული და სხვა) გამოვლენას, რომელიც გარკვეული რისკის ფაქტორს წარმოადგენს პროფესიული დაავადების შემდგომი განვითა-რებისათვის. შედეგად ზესტაფონელ მსრომელთა და მაცხოვრებელთა აბსოლუტური უმრავლესობა დგას ამ კონკრეტული და უმძიმესი დაავადებებით დაავადების ყოველდღიუ-რი რისკის ქვეშ;

გარდა აღნიშნულისა, განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სამედიცინო სტატისტიკა, რომ-ლის თანახმადაც ზესტაფონში ონკოლოგიურ ავადმყოფთა რაოდენობა პროგრესიით იზრდება. 2007 წელს ზესტაფონში ონკოლოგიური დაავადების 942 შემთხვევაა აღრიცხული, 2008 წელს - 1023, 2009 წელს - 1067, 2011 წელს - 1133, 2012 --- ???

ოფიციალური მონაცემებითაც კი, ზესტაფონში 100 ათას მოსახლეზე დაავადებულთა მაჩვენებელი 2007 – 2012 წლებში 122,8 %-ით გაიზარდა, მაგრამ ეს ციფრი არაფერია ცალკეულ სპეციფიკურ დაავადებათა ზრდასთან შედარებით.

მხოლოდ ერთი წლის მანძილზე, ანუ 2012 წელს 2011 წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა:

სუნთქვის ორგანოთა - 135,9
კანისა და კანქვეშა ქსოვილების - 165,9
ძვალ-სახსართა სისტემის - 202%
ინფექციული და პარაზიტული - 218,4
სისხლის მიმოქცევის სისტემის - 169,9
სისხლისა და სისხლმბადი ორგანოების - 176,1
ნერვული სისტემის - 152,9
თვალისა და მისი დანამატების - 372,4
ფსიქიკური აშლილობები - 112,6

ევროპაში აკრძალული, ზესტაფონში - ნებადართული
(ფერომაფია - ანფასში)

2012 წლის დასაწყისში, ქარხანაში „ჯეო-ამერიქან ელოის“-ის მენეჯმენტის პირობებში ეკოლოგიური მდგომარეობა დაამძიმა მაროკოდან ტყვიაშემცველი მანგანუმის მადნების შემოტანამ და გამოყენებამ. აღნიშნული საბადოს ექსპლოატაცია ევროპის ქვეყნებში უკვე წლების განმავლობაში აკრძალულია მადანში მანგანუმთან ერთად ტყვიის მაღალი (2%) შემცველობის გამო, მაგრამ ე.წ. „ინვესტორებმა“ არც ეს დაიდეს არაფრად და ზესტაფონელთა ჯანმრთელობის ხარჯზე, ფეროშენადნობთა ქარხანაში მაინც გადაამუშავეს 10 ათას ტონამდე მაროკოს მადანი, ტყვიის ჯამური შემცველობით 150-200 ტონა. იმავე მადნებში ფიქსირდებოდა რადიოაქტიური ჯგუფის ლითონის - სტრონციუმის არსებობაც (1%). ამ შემთხვევაში, ზესტაფონში გამოიყოფოდა 100 ტონამდე სტრონციუმიც. ცნობილია, რომ ორივე ამ ლითონის მოხვედრა ადამიანის ორგანიზმში წარმოადგენს სიმსივნური დაავადებების პროვოცირების ფაქტორებს;

კონფიდენციალური წყაროები იუწყებოდნენ, რომ ზესტაფონში ამ საქმის გახმაურების გამო მაროკოს მადანის მორიგი პარტია (35 ათ. ტონა) ფოთის პორტში გადაფორმდა, როგორც სამხრეთ აფრიკის კონცენტრატი და ისე შემოვიდა საქართველოში. მონაცემები სამხრეთ აფრიკიდან შემოტანილი მადნის რაოდენობის (წონის) შესახებ, მართლაც ემთხვევა მაროკოს შეკვეთისას (35 ათ. ტონა).

ზესტაფონის გარდა, დაფიქსირდა ფაქტები, როდესაც აღნიშნული მადანი მოტყუებით, კვლავ სამხრეთ აფრიკის მადნის სახელით მიყიდეს რუსთავის მცირე საწარმოებს. შექმნილ გაუსაძლის მდგომარეობას მალევე მოყვა გარდაბნის აზერბაიჯანული მოსახლეობის საპროტესტო აქციები (აქციები გაშუქებული იქნა ტელევიზიებითაც).

ნგრევა გრძელდება!

დატაცება ნონ-სტოპის რეჟიმში

ზესტაფონში მიმდინარე პროცესები არ შეიძლება აიხსნას საღი აზრითა და მსჯელობით, ვინაიდან ყველაზე დიდ თავხედობას, უსინდისობას, ბარბაროსობას - აქვს საზღვარი; ის,რაც ზესტაფონში ხდება - არის აბსოლუტური

უსაზღვრობა, ყველა უბედურებისა და არაადამიანური ქცევისა, რომელიც მხოლოდ ველური ბუნების ადამიანს თუ შეუძლია ჩაიდინოს.

თავად ამ შოკისმომგვრელ გაუმაძღრობაზე საინტერესო ის არის, რომ ეს... არ ვიცი რა ვუწოდო მას, ვინც წლების მანძილზე ძარცვავს სრულიად საქართველოს, როგორ ვთქვა: ადამიანი?... როგორ ვთქვა - პიროვნება?... მოკლედ , ეს არის - სამადაშვილი, საქართველოს პარლამენტის ოთხგზის (!) წევრი.

პარლამენტარმა, რომელიც ყველა ქვეყანაში ხალხის ინტერესებს იცავს, ერთ ღამეში ხუთასი პოლიციელი შეკრიბა, ხუთი ტონა საწვავი დაწვა, ბაზარი და ორასზე მეტი მაღაზია გაასწორა მიწასთან და ულუკმაპუროდ 6 ათასი ოჯახი დატოვა.

ახლა, ამ ნგრევის შემდეგ, რომელიც გრძელდება, დამშეულ ადამიანებს, რომლებსაც უკანასკნელი ლუკმა-პური წაართვა, თავისივე ბაზარში ერეკება, რათა მათთვის ფართების მიქირავებით, კიდევ მათთვის ტყავის გაძრობით ხეირი ნახოს.

„ნაციონალების“ 9 წლიანი ზეობის პირობებში შეიძლება არც არაფერი გამკვირვებოდა, მაგრამ ... ახალი ხელისუფლების დროსაც?? ბატონი სამადაშვილი არა მხოლოდ მოძალადე, არამედ ჩვენი დროის ოსტაპ ბენდერიცაა. მან მოახერხა, რომ რამდენიმე დღის მანძილზე არ დასუფთავებულიყო ამჟამად უკვე ნანგრევებად ქცეული ბაზარი, შემდეგ სურსათის უვნებლობის სამსახური შეუსია, რომელმაც დაუყოვნებლივ დახურა ობიექტი, ხოლო შემდეგ თავისივე ახლად აშენებული ბაზრის დირექტორს ერთ - ერთ ინტერვიუში ათქმევინა, რომ ზესტაფონში „... პირიქითაა ყველაფერი, მაგრამ ვიღაცის ინტერესი იყო, ის ბაზარი არ დახურულიყო და ხალხს აგიჟებდნენ“ - აი, ასე! ბატონი სამადაშვილი, უფრო მეტად კი მისი მფარველები, არა მხოლოდ მოძალადე მაფიოზები არიან, ისინი გაქნილი აფერისტები, უსირცხვილო მატყუარები და პოლიტიკური დემაგოგებიც ბრძანდებიან. მათგან ათასობით გაუბედურებულს - ვიღაცისგან გაგიჟებულს უწოდებენ! ეს ადამიანები საშიშნი არიან არა მხოლოდ გასაცოდავებული ზესტაფონელებისთვის, არამედ თავად სახელმწიფოსთვისაც კი. ამიტომაც ხელისუფლებამ ადექვატური ზომები დროულად უნდა მიიღოს მათ წინააღმდეგ.

„ნაციონალური მოძრაობის“ ხანაშიც კი ვერ მოახერხა სამადაშვილმა ხალხისთვის წლებით ნაშრომი ასე ცინიკურად დაემხო თავზე, ახლა კი, ეს უპრობლემოდ შეძლო. ზესტაფონში ფერომაფიის პარპაშისა და ხელისუფლების უნიათობის ფონზე თუ რაიმე შეიცვალა, მხოლოდ უარესობისაკენ. მერაბ სამადაშვილია ზესტაფონის გამგებელიც, პოლიციის უფროსიც, საკრებულოს თავმჯდომარეც და ნებისმიერი თანამდებობის მფლობელი. ამ კაცს წინ ვერავინ უდგება ერთ დღეში მიწასთან გაასწორა ათასობით ადამიანის უზარმაზარი ქონება. მიუხედავად იმისა, 7 მლრდ დოლარი იშოვა „ფეროში“ სილიკონის ქერქების გადამუშავებით და ეხლა ყველაფერს აკეთებს დარჩენილი ერთი მილიარდის ღირებულების მისათვისებლად. ყველაფერი ეს ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დაიანგარიშეს.

1992 წლიდან ეწევა ის ამ გეგმას - ჯერ მხედრიონელი იყო, მერე შევარდნაძის მთვრობაში გამონახა ხალხი, მისი პარლამენტის ვიცე-სპიკერიც გახდა, „ნაცმოძრაო–ბასთანაც“ მოახერხა საჭირო კონტაქტების დამყარება, ეხლა არც „ქართულ ოცნებასთან“ უჭირს ურთიერთობა.რაც გააკეთა, იმას ვერ შეძლებდა ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე. ყველაფერს თავი დავანებოთ, ხუთასი პოლიციელის მიყვანა შსს მინისტრის ნებართვის გარეშე, სარეზერვოდ კიდევ „სპეცნაზის“ მობილიზებაც, შეუძლებელია უაღრესად გავლენიანი ფიგურების გარეშე. ამიტომაც ვფიქრობ, ზესტაფონში სრული კოაბიტაციაა, გადაბმულები არიან ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები,ხალხი კი არავის ახსოვს, დეპუტატსაც კი.

ვიდრე დეპუტატი გახდებოდა, გოგი ქავთარაძე ამბობდა, როგორც გველს არ ჩამოვართმევ ხელს, ისე არცმერაბ სამადაშვილსო. როგორც ჩანს გადაიფიქრა. არიან ადამიანები, რომლებმაც ერთად მოქეიფეც კი ნახეს. ისე ჩანს, მთავარი პროკურორის მოადგილესთან, ლაშა ნაცვლიშვილთან და პრემიერის მრჩეველთან, გია ხუხაშვილთანაც დაალაგა ურთიერთობა და ამიტომაც მას არაფერს ერჩიან. ეს მაშინ, როცა ბატონი მერაბი და მისი ძმა ომარი სხვის ქონებას კი არ უნდა ანგრევდნენ, როგორც კრიმინალები, ციხეში უნდა ისხდნენ. 7 მილიარდის ქონება არც ერთი სხვა რეგიონიდან არ არის გატანილი და ეს ყველაფერი უკანონოდ გააკეთა. უკანონოს იმიტომ ვამბობ, რომ 2003 წელს გარემოს დაცვის სამინისტრომ მისცა ერთწლიანი ლიცენზია ნარჩენების მოპოვებაზე, მან კი ერთიანს ნულიანი მიუშვა გვერდით. ისე, მიკვირს, ეგ როგორ მოახერხა, აბსოლუტური უვიცია და ათამდე თვლაც თუ ეცოდინებოდა, არ მეგონა. ეს ერთადერთი დანაშული არ არის, რაც მან ჩაიდინა. არაერთი ფინანსური დანაშულის თაობაზე ორჯერ შევხვდი ქვეყნის მთავარ პროკურორს. იმედი მომეცა - ვიფიქრე გვეშველა - თქო. მაგრამ მწარედ შევცდი. ამის შემდეგ დამემხო თავზე ბაზარი, ათი მილიონიანი ქონება, ორას ორმოცდაათი ათასი ლარის საკუთარი ფული მქონდა ჩადებული.

ჩვენი მეგობარი და თანამებრძოლი ამ საქმეში, ზესტაფონის პატრიოტი კაცი ნოდარ ცხადაძე 26 მაისს დაიღუპა, ამათთან ომს გადაჰყვა კაცი, და ამის შემდეგ მის რძალს, ქალბატონ მაყვალა ცხადაძეს მაღაზია რომ დაუნგრიეს, იმ ღამით სცემეს კიდეც ისე, რომ ქალი საავადმყოფში იწვა. იმისათვის შეეწირა ჩვენი მეგობარი საერთო საქმეს, რომ ისევ „ნაცმოძრაობას“ და სამადაშვილს ეპარპაშათ? სამადაშვილი აისბერგის ხილული ნაწილია მხოლოდ. ათი იმდენი ჩამალულია „ნაციონალური“ და „ოცნების“ ხელისუფლების კორიდორებში. აბა, 7 მილიარდს მარტოს ნამდვილად არ შეაჭმევდნენ: პავლე კუბლაშვილი რომ აფათურებდა ამ ბიზნესში ხელს და სერიოზულ ფულსაც შოულობდა, ეს ნამდვილად ვიცი. თავად მიხეილ სააკაშვილის ოჯახი ჰყავდა წილში სამადაშვილს.

მას ხუთი ფირმა აქვს ზესტაფონში დარეგისტრირებული. ერთ-ერთია „ეკომეტალი“ . ამ ფირმის 55% სააკაშვილის სიდედრისა და სიმამრის სახელზე იყო გაფორმებული. ეს ამბავი რომ არ გახმაურებულიყო, სამადაშვილმა თითქოს 2,5 მილიარდ დოლარად შეისყიდა აღნიშნული 55% და ფირმის 100%-იანი მფლობელი გახდა. თუ სამადაშვილმა მართლა მოაგვარა საქმეები, ძველი და ახალი ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, გამოდის ბიძინა ივანიშვილის გარდა პატრონი არ გვყავს. ისიც იმ შემთხვევაში,რაც მოხდა, თუ აქამდე არ გაუგია.

ამიტომაც ვიწვევთ ბატონ ბიძინას ჩვენს დიდ შეკრებაზე. იმედია, ჩამობრძანდება, მოგვისმენს, შეისმენს... ზესტაფონში დღეს ბევრად უარესი მდგომარეობაა, ვიდრე „ნაცების“ დროს იყო.

თავს არავისვამადლით, მაგრამ გადავყევით ხალხი ამ ხელისუფლების მოყვანას და ცოტა მართალი ხალხისკენაც რომ მოიხედოს, აღარ არის დრო?

ჩემს წერილს „ნგრევა გრძელდება“ რომ ვუწოდე, ერთ კონკრეტულ შენობაზე არ მოგახსენებთ. შეიძლება, არც ერთ კონკრეტულ ქალაქზე. ქვეყნის ნგრევა, ქვეყნის ძარცვა, ქვეყნის გაუბედურება გრძელდება, ბატონებო!

მაფიოზი რომ ოთხჯერ გადეპუტატდება - ნგრევა არ არის?

მაფიოზი რომ ხუთას პოლიციელს და კიდევ სპეცრაზმს მინისტრის თანხმობის გარეშე შეკრებს - ნგრევა არ არის?

მაფიოზი რომ ხალხის გულიან სიტყვას, ხალხის გაგიჟებას უწოდებს - ნგრევა არ არის?

ლირიული გადახვევა (შეიძლება უადგილო, მაგრამ მაინც):

70-იან წლებში დიდი ქარიანობა ყოფილა იმერეთში. სულ წაუღია სახურავები, ნათესები... საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელს, ვასილ მჟავანაძეს მოუკითხავს - რა მდგომარეობააო? ქუთაისიდან პასუხისმგებელ მორიგეს სულ დაწვრილებით მოუხსენებია ყოველივე, ბოლოს კი დაუმთავრებია: „ქუთაისის ნგრევა გრძელდებაო“. გულგამსკდარი ვასილ პავლოვიჩი სასწრაფოდ ჩამჯდარა მანქანაში და ორიოდ საათში იმერეთში გაჩენილა...

თემურ კაპანაძე

მაფიოზ მერაბ და ომარ სამადაშვილს ყოველთვის პოლიცია და პროკურატურა იცავდა და დღესაც ასე ხდება

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერის, ქალბატონ ნინო ბურჯანაძის გამოსვლა 2013 წლის 27 ივნისის ბრიფინგზე

ყურადღება მინდა შევაჩერო ძალიან სერიოზულ და მტკივნეულ პრობლემებზე, რომელიც აღინიშნება ზესტაფონში. ჩვენ გვინდა ჩვენი ხელისუფლების ყურადღება მივაპყროთ ძალიან სერიოზულ და მტკივნეულ პრობლემას, რომელიც არის ზესტაფონში. ზესტაფონის მაცხოვრებლები დიდი იმედებით შეხვდნენ პირველ ოქტომბერს და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სამართლიანობა აღდგებოდა არა მარტო მათ მიმართ, არამედ სრულიად საქართველოში. დარწმუნებულნი იყვნენ რომ აღარასოდეს მშრომელ და გაჭირვებულ ადამიანს აღარ შეულახავდნენ უფლებებს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შეძლეს სიმართლის და სამართლის პოვნა ზესტაფონში. ეს არის რაიონი, რომელსაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მოყვება ძალიან სერიოზული პრობლემები; ეს პრობლემები არის დაკავშირებული იმ ქარხანასთან რომელიც არის ზესტაფონის რაიონში, ეს არის უმძიმესი ეკოლოგიური პრობლემები, ეს არის პრობლემები რომელიც დაკავშირებულია ქარხნის საკუთრების უფლებებთან და იმასთან, რომ მიუხედავად იმისა ქარხანას წესით უნდა ჰქონდეს ისეთი რეჟიმი, როდესაც არამარტო სახელმწიფო ბიუჯეტი მიიღებს ძალიან სერიოზულ სახსრებს ქარხნის მუშაობის შედეგად, არამედ ზესტაფონის ადგილობრივი მაცხოვრებლებიც გარკვეულ შეღავათებს. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ ვითარებას, როდესაც ქარხნის მუშაობა და ქარხნის მეპატრონეების მოქმედებები ადგილობრივ მოსახლეობას, მშრომელ ხალხს პრობლემის გარდა არაფერს უქმნის. მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის პრობლემატურია ზესტაფონის ბაზრის გარშემო არსებული მდგომარეობაც. ეკონომიკური აქტივობის ეს მნიშვნელოვანი ცენტრი, რამდენიმე საეჭვო პირის ხელში აღმოჩნდა. აქ მომუშავე ადამიანებზე ძალადობენ. ისინი განიცდიან დამცირებას და შეურაცხყოფას. მათ, ძალის გამოყენებით, ატოვებინებენ საკუთრებას და სამუშაო ადგილებს.

გაჩნდა ეჭვი ზესტაფონის მაცხოვრებლებს შორის, რომ კოჰაბიტაციის მახინჯი ფორმა დაინერგა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და ნაციონალების ყოფილ სახეებსა და ნაციონალური მოძრაობის ქუდის ქვეშ მოქმედ ბიზნესმენებს შორის. ეს, ეგრეთ წოდებული, თანაცხოვრება უბრალო ზესტაფონლების შორის ნამდვილად არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. ჩვენ, როგორც „დემოკრატიული მოძრაობა“, ასევე ზესტაფონის მაცხოვრებლები, იმედს ვიტოვებთ, რომ სრულყოფილი ინფორმაცია რეალურ სურათთან დაკავშირებით არ არის მისული საქართველოს პრემიერ მინისტრამდე. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს პრემიერმინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს პირადად დაინტერესედეს რა ხდება ზესტაფონის რაიონში, არ ენდოს მხოლოდ ერთ მხარეს და აუცილებლად მოუსმინოს ამ მოვლენებით დაზარალებულ ადამიანებს. შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ის იმოქმედებს ისე, როგორც ეს ზესტაფონის ინტერესებში შედის,

ყველას, ვისაც ეს საკითხი ეხება, მოვუწოდებ პატივი სცენ როგორც საკუთრების, ასევე ადამიანის უფლებებს და საკითხი სამართლიანად და გონივრულად გადაწყვიტონ. არ შეიძლება ხალხის სამუშაო ადგილებიდან გამოყრა და მათი საკუთრების ხელყოფა.

მოვითხოვთ საქართველოს ახალი ხელისუფლებისაგან, პატივი სცენ როგორც საკუთრების, ასევე ადამიანის უფლებებს და საკითხი სამართლიანად და გონივრულად გადაწყვიტონ. არ შეიძლება ხალხის სამუშაო ადგილებიდან გამოყრა და მათი საკუთრების ხელყოფა, არ შეიძლება ადამიანების ულუკმაპუროდ დატოვება.

მოვუწოდებ ხელისუფლებას ნუ გააგრძელებენ იმ უსამართლობას რომელიც ამდენი წლის განმავლობაში, სუფევდა ზესტაფონის რაიონში, ნუ შექმნიან ამ უსამართლობის, ძალის გამოყენების და უბრალო ხალხზე მორევის კიდევ ერთ კერას ჩვენს ქვეყანაში, გააკეთონ ყველაფერი იმისათვის რომ ამ უკანონობაზე თვალი არ იქნას დახუჭული, და კოჰაბიტაცია არ გაგრძელდეს უბრალო მშრომელი და გაჭირვებული ადამაინის ხარჯზე.

იმედს ვიტოვებთ, რომ პრემიერ-მინისტრი არ არის სწორად ინფორმირებული აღნიშნულ საკითხზე; ამ მიმართვის შემდეგ ის აუცილებლად შეხვდება ზესტაფონის მოსახლეობის წარმომადგენლებს და მიიღებს იმ გადაწყვეტილებას რომელიც ყველას დაანახებს რომ საქართველოში სამართლიანობის აღდგენა იწყება.“

როგორც ჩანს, ბევრისთვის პატრიოტიზმი და ბრძოლა საქართველოსათვის პარლამენტში მოხვედრისთანავე, თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მთავრდება..

ამის კარგი მაგალითი ზესტაფონია... სამადაშვილისა და მისი მაფიოზური კლანის წინააღმდეგ ბრძოლით პარლამენტსა და თანამდებობებზე მოხვედრილნი - კარგად შეერწყნენ ფერომაფიას, მისი მფარველნი გახდნენ... აღარ ახსოვთ არც ზესტაფონი, არც საქართველო, არც გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფი ხალხი...

ჭკვიანური და სწორი შეფასება გააკეთეს ზესტაფონელებმა, როცა თქვეს, რომ ქვეყნის ბიზნესი დღეს თითქმის მთლიანად ეკუთვნის სოლომონ ისაკიჩებს, რომლებიც გარდამავალ პერიოდში არნახული ფულით, არნახული სიჩქარით შობენ ყვარყვარეებს.

ყვარყვარიზმის ეპოქის ზეპირსიტყვიერების შედევრია დღევანდელი ერთ-ერთი გამგებლის ნათქვამი - მე ავტოკალამი ვარო. რაზეც მის მოადგილეს კვერი დაუკრავს - მე კიდევ ფურცელიო. ერთი ფანქარია, მეორე - ფურცელი. იქ, სადაც სოლომონ ისაკიჩია, არ არის გამგებელი, არ არის პოლიციის უფროსი, არ არის პროკურორი... არის სოლომონ ბატონის მიერ დასმული ყვარყვარეს კლონი, ნამდვილ ყვარყვარეზე გაცილებით უსუსური და ამაზრზენი, ფულიანი ბატონის მონა და ლაქია.

ქვეყნის დამანგრეველ ამ განწყობას წერტილი უნდა დაესვას...

ეს გაზეთი დიდი მოწოდებაა მთელი საქართველოსათვის, რათა ყველა ქალაქსა და რაიონში დავიწყოთ ბრძოლა "მოქკავშირ-აღორძინება-ნაცმოძრაობის" მიერ დანიშნული ნომენკლატურული ბიზნესმენების წინააღმდეგ...

ეს იქნება ბრძოლა მამულისათვის, ბიზნესში გალაღებული ნუვორიშებისა და პოლიტიკაში გადავარდნილი მედროვეების ეპოქის დასრულებისათვის.

ზესტაფონი მთელი საქართველოს გასაგონად აცხადებს:

ბიზნესის და პოლიტიკის მედროვეთა მარწუხებისაგან განთავისუფლება არის საქართველოს მომავალი, ... ეს არის ბრძოლა საქართველოსათვის,... ეს არის გზის გახსნა ქართული ცნობიერების უჭკვიანესი უამრავი ადამიანისათვის, რომელთაც ვითომ ქართველმა, რეალურად კი უცხოეთის ემისრებმა წინსვლის და ქვეყნის მსახურების გზა დაუხშეს.

ზესტაფონლები თვლიან, რომ მათი ეს განწყობა ეს არის ბატონი ბიძინა ივანიშვილისადმი თანადგომა და არ ეჭვობენ, რომ მათ ექნებათ პრემიერის დიდი მხარდაჭერა.

ზესტაფონლები თვლიან, რომ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დაასრულა ქართველ ხალხზე "ნაცების" ბატონობა და მას ყველაზე უკეთ შეუძლია იმის დასრულება, რაც დღემდე ვერავინ შესძლო - ბიზნესში მეჯღანუაშვილების და პოლიტიკასში ყვარყვარეების დასრულება. ისინი ღრნიან ქართულ სულს, ებრძვიან სახელმწიფოს, წამებაში ჰყავთ ხალხი, მონობაში გამგებლები, მერები, გუბერნატორები, არაერთი მინისტრი და მაღალჩინოსანი და, რაც ყველაზე გამაოგნებელია, რეალურად ებრძვიან ახალ ქართულ სახელმწიფოს.

უნდა ითქვას: ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ეს არის ნამდვილი ბრძოლა ზესტაფონისთვის, ეს არის ბრძოლა ქართული სულის დაბრუნებისათვის მეწარმეობაში.

მეც ასეთი საბრძოლო განწყობით დავბრუნდი ზესტაფონიდან. განსაკუთრებით ძალას გვმატებს ის ფაქტი, რომ ამ პოზიციას მთლიანად იზიარებს „სახალხო კრების“ საბჭო, მისი სრული შემადგენლობა.

საბჭოს თითოეული წევრი, რომელიც გახლავთ ქართული მეცნიერების, კულტურის, სპორტის დიდების გვირგვინი; სინდის-ნამუსი ქართველი ერისა, რომელთა დიოდ ქართველობას და ალალ სიტყვას პატივს სცემს სრულიად საქართველო, მზად არის ყველაფერი გააკეთოს ზესტაფონის უმძიმესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

„სახალხო კრებას“ მიაჩნია, რომ უნდა გააქტიურდეს ზესტაფონი - ჭიათურა -ტყიბულის ერთიან სამრეწველო კომპლექსად ჩამოყალიბების, აგრეთვე მთელი რიგი რაიონების, ქალაქების, რეგიონების მაფიოზთა კლანჭებიდან დახსნის ნამდვილი, რეალური ბრძოლა.

ბრძოლა ბოროტებასთან, თორემ, როგორც ბრძენმა კონფუციმ ბრძანა: „ბოროტებას რომ სიკეთით ვუპასუხოთ, რიღათი ვუპასუხოთ სიკეთეს?“

თეიმურაზ შაშიაშვილი პარტია „თეთრების“ ლიდერი

თინა ხიდაშელი: ის იხდის ხარკს...

... ჩვენ ვსაუბრობთ რეალურად, რომ მთელი ეს პროცესი, რომელიც ზესტაფონში არსებულმა ბიზნესმა გაიარა... ხდებოდა მერაბ სამადაშვილის ხელით... ეს ადამიანი მუდმივად მალავს საკუთარ შემოსავლებს და საკუთარ ქონებას ზესტაფონთან მიმართებაში... პარლამენტშიც ამიტომ არის ის. სხვა ინტერესი მას არ აქვს, რომ იქედან ლობირება გაუწიოს და უსაფრთხოება უზრუნველყოს საკუთარი ბიზნესის...

უსაფრთხოების უზრუნველყოფა კი მარტივად ხდება: ყოველი არჩევნების წინ და არა მხოლოდ არჩევნების, ალბათ სხვა დროსაც... ის იხდის ხარკს ყველა სახელისუფლო პარტიისათვის.

ეკა ბესელია: სამადაშვილის „მოძრავი წრის“ შესახებ

... ამისათვის არა მარტო ძალიან დიდი თანხების მობილიზება დასჭირდა მას და დიდი რესურსების ხარჯვა, რომელიც ბუნებრივია, კანონიერ საფუძვლებზე არ იდგა და არ დგას, ისევე, როგორც სხვა აკრძალული მეთოდების გამოყენება, რომელსაც ასევე კარგად ნაჩვევი იყო... მან გაყალბებული ოქმებით მაშინ და ძლიან დიდი ფულადი რესურსების ჩართვით, ბინებრივია ხელისუფლების პირდაპირი დახმარებით შეძლო, რომ მესამეჯერ ყოფილიყო იმ რაიონის წარმომადგენელი, რომლის ამომრჩევლების 80% ალბათ მასკარგად არ იცნობს არც დღეს.

როდესაც პარლამენტის წევრი პირდაპირ, ღიად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე მონაწილეობს სამეწარმეო საქმიანობაში და ფლობს ასეთ ბიზნეს-რესურსებს და ის განკარგავს ამ რესურსებს, ამ ქონებას, სამეწარმეო საქმიანობის პარალელურ რეჟიმში აგრძელებს, ეს პორდაპირი დარღვევაა კანონმდებლობის და ეს არის პირდაპირი საფუძველი როგორც პარლამენტის წვერის უფლებამოსილების შეჩერებისა, მით უფრო, როდესაც ჩვენ ვხედავთ, რამდენი ადამიანია დაზარალებული... როგორ იყენებს ის „ნაციონალურ“ სახელისუფლო რესურსებს პირადი მიზნებისათვის და პირადი ინტერესებისათვის.

ბუნებრივია, რომ არა ხელისუფლების მფარველობა და რომ არა განსაკუთრებულ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა ის ვერ იქნებოდა დღეს ვერც ამ ბიზნესების მართვის პროცესში და ვერც საკანონმდებლო ორგანოში...

სამადაშვილი არის ერთ-ერთი მაგალითი იმისა, როგორ ხდება ხელისუფლების მხრიდან ერთის მხრივ ლობირება, და ამ ლობირების სანაცვლოდ საკანონმდებლო ორგანოში მაჟორიტარების ადგილის დათმობა, და როგორ ხდება მაჟორიტარების მხრიდან ხარკის გადახდა ხელისუფლებისათვის ამ ყველაფრის სანაცვლოდ.

ეს არის ცირკულაცია... „მოძრავი წრე“...

დავით ხუსკივაძე: ამას სახელი არ აქვს

... რა თქმა უნდა, ეს იყო იარაღის ქვეშ, რა თქმა უნდა, ეს იყო მუქარის ქვეშ. ეს იყო... ამას არ აქვს არც სახელი და არც არაფერი... აქ რაც მოხდა.

... 2007 წელს უკვე „საირხიდან“იყო გატანილი 45 მილიონი ამერიკული დოლარის პროდუქცია.

ამონარიდები ტელეკომპანია „მაესტროს“ 2011 წლის 17 ივნისის ნათია მიქიაშვილის საავტორო გადაცემიდან „ანატომია“

მადლობა მას, ვინც ბოლომდე წაიკითხა გაზეთი, ვინც გულთან მიიტანა ჩვენი საერთო ტკივილი.
ერთობით 13 აგვისტოს, 13 საათზე, ზესტაფონში თეატრალურ მოედანზე!